ხაშურის მოამბე

№47(371) 5 დეკემბერი, ორშაბათი, 2022 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

1 დეკემბერს, საკრებულოს მორიგმა სხდომამ, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით, დღის წესრიგით გათვალიწინებული 9 საკითხი განიხილა.

საკრებულომ მხარი დაუჭირა სოფლის მხარდაჭერის 2022 წლის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ცვლილებებს და 2022 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საპროექტო წინადადებებში შესატან ცვლილებებს;

დაამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა წარმოადგინა.

აგრეთვე მხარი დაიუჭირა განკარგულებების პროექტებს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში შესასვლელი ხეივნისათვის ქართველი საზოგადო მოღვაწის ნინო ყიფიანის სახელის მინიჭების და ხაშურში, „ზემო სერსა“ და დაბა სურამში, უსახელო ქუჩისათვის „ახალი ბანას“ სახელის მინიჭების შესახებ.

საკრებულომ მოისმინა და დადებითად შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ანგარიში 2022 წელს 10 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც გაერთიანების ბუღალტერმა აკაკი ჯამბაზიშვილმა წარმოადგინა.

სახალხო ბიუჯეტირების პროექტის შესახებ ინიციატივა წამოაყენა ფრაქცია „ხაშურისთვის“ თავმჯდომარემ ირინე გელაშვილმა.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის ხელმძღანელ პირებს შეხვდნენ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს თენგიზ ჩიტიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ნინო ლიპარტელიანს და მერის მოადგილე-ზვიად ქურდაძეს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები შეხვდნენ და „ძლიერი სოფლის პროგრამა“ გააცნეს, რომლის მიზანიც საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობისთვის მეტი შესაძლებლობების გაჩენაა.

ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევა შესაძლებელია გრანტების საშუალებით ინვესტიციების სტიმულირებით.

შეხვედრისას, ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ახალი პროექტი, სოფლის განვითარების სახელმწიფო პროგრამებთან ერთად,მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების ეკონომიკურ განვითარებასა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

მინისტრმა რიკოთზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ რიკოთის ყველა მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოები, მათ შორის კი ხაშურის შემოვლითი მაგისტრალის სამშენებლო პროცესი შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულთან მიხეილ შაყულაშვილთან ერთად დაათვალიერა.

რიკოთზე, საერთო ჯამში, დაგეგმილია 52 კმ-მდე სიგრძის 4 ზოლიანი ჩქაროსნული გზის მშენებლობა, რომელიც 97 ხიდსა და 51 გვირაბს მოიცავს. მოცემულ ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები, პარალელურად, ყველა გვირაბზე მიმდინარეობს

51 გვირაბიდან უკვე გაჭრილია 37 გვირაბი,საიდანაც 3დასრულებული გვირაბით სატრანსპორტო საშუალებები უკვე სარგებლობენ

97 ხიდიდან, სამუშაოები პარალელურად მიმდინარეობს 91 ხიდზე, საიდანაც 52 უკვე აშენებულია, 6 დასრულებული ხიდით ავტოტრანსპორტი უკვე სარგებლობს

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა 4 მონაკვეთად არის დაყოფილი (ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთი; ხევი-უბისას მონაკვეთი; უბისა-შორაპანის მონაკვეთი; შორაპანი-არგვეთას მონაკვეთი)

ა(ა)ი პ ხაშურის მუნიციპალიტეტის "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების`` მიერ 2022 წლის 11 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (ქალაქად - 8,დაბა სურამში - 1 და სოფლად 9)- 60 ჯგუფით,მათ მომსახურეობას უწევს 351 თანამშრომელი მათ შორის: 64 აღმზრდელი, 71 - აღმზრდელის თანაშემწე და 5 სპეც. მასწავლებელი, 215 - დანარჩენი მომსახურე პერსონალი, საბავშვო ბაღებში 2022 წლის 1 იანვრისათვის რეგისტრირებული იყო 1860 აღსაზრდელი.გარდა ამისა, ჩვენი ბიუჯეტიდან ფინანსდება 3 ალტერნატიული ბაღი სოფლებში:წაღვლში,ფლევსა და ბიჯნისში.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო ფასდაუდებელ დახმარებას უწევს ახალგაზრდა ოჯახებს საბავშვო ბაღებით მომსახურების საქმეში,სადაც აღსაზრდელებს შექმნილი აქვთ ყველანაირი პირობა, როგორც აღზრდის ასევე სრულფასოვანი,უფასო კვების თვალსაზრისით. საბავშვო ბაღების აღსაზრდელების დაფინანსებაზე სახელმწიფოს მიერ მიმართული ხარჯები გათვლილია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის და მათი კეთილდღეობის ამაღლების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე წელს, ზემოთაღნიშნული მიზნისათვის, დაზუსტებული საფინანსო რესურსი, სუბსიდიების სახით გამოყოფილი გვაქვს 2892939 ლარი, საიდანაც 11 თვეში მოხდა 2434465 ლარის ათვისება. 11 თვის განმავლობაში, საბავშვო ბაღების საჭიროებიდან გამომდინარე, მომწოდებლებთან გაფორმებული იქნა 99 ხელშეკრულება, მათ შორის, 18 ელექტრონული ტენდერის მეშვეობით. ამ პერიოდში დაფინანსებული ხარჯებიდან, ანუ 2434465 ლარიდან, შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 1609469 ლარი, 238143 ლარი დაიხარჯა კომუნალურ მომსახურეობაზე (ბუნებრივი აირი,ელექტროენერგია,წყალი), კვების ხარჯებს მოხმარდა 277359 ლარი,თუ ერთ ბავშვზე გაანგარიშებით 2021 წელში დღიურად დაიხარჯა 1.72 ლარი,მიმდინარე წლის 11 თვეში ამ ციფრმა 2.62 ლარი შეადგინა,ანუ ერთი ბავშვის კვება გაზრდილი იქნა 0.9 ლარით.ზრდის დაახლოებით 25-30 % გამოწვეული იქნა კვების პროდუქტებზე ფასების ზრდით,ხოლო 70% მოდის ისეთი კვების პროდუქტებზე ხარისხობრივი მაჩვენებლის შეცვლით,როგორიცაა მაგ. თევზი „ხეკი",ამოცვლილი იქნა თევზი „ორაგულით",გაზრდილი იქნა მენიუებში საქონლის ხორცის,პურის,რძის პროდუქტების ხვედრითი წილი და სხვა.საოფისე,სან-ჰიგიენურ და სადეზინფექციო ხსნარების შეძენას მოხმარდა 37977 ლარი, კაპიტალურ დანახარჯებს მოხმარდა 66469 ლარი."HASPIS" პროგრამის დანერგვისა და პროფესიული განვითარების კუთხით პედაგოგებისა და სხვა მომსახურე პერსონალის გადამზადების მიზნით დახარჯული იქნა 24955 ლარი.სხვა დანარჩენ ხარჯებს მოხმარდა 127451 ლარი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ,რომ თითქმის ორწლიანი კორონავირუსის პანდემიის შემდეგ ,როგორც ქვეყანაში,ასევე ჩვენთანაც მნიშვნელოვნად დაზარალდა საბავშვო ბაღებში, სააღმზრდელო პროცესი, ბაღებში სწავლის ნაწილობრივი იძულებითი შეჩერების შედეგად, არსებითად მოიშალა შემდგომ ეტაპებზე აღსაზრდელების დასწრების მაჩვენებელი.ბოლო 2021 წელს ამ მაჩვენებელმა 42.2 % შეადგინა. მდგომარეობა მნიშვნელოვნად, ამ პერიოდის გამოძახილის შედეგად, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდშიც არ გამოსწორებულა,აღსაზრდელთა დასწრების მაჩვენებელი კვლავ დაბალია.კორონავირუსის პანდემიის შენელების, მაგრამ სხვა გრიპის ვირუსების გააქტიურების ფონზე საბავშვო ბაღების გაერთიანება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მიღწეული იქნას აღსაზრდელთა სტაბილური დასწრება.15 მაისიდან ,15 ივნისამდე ჩატარებული იქნა აღსაზრდელთა რეგისტრაცია ,პარალელურად სიების დაზუსტება, ბავშვები, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში საერთოდ არ უვლიათ ბაღში, ამოღებული იქნენ სიებიდან, რაც, ამავდროულად, ხელს შეუწყობს მომავალი წლის ხარჯებისათვის საბიუჯეტო მოთხოვნების დაზუსტებასაც.აღნიშნული ღონისძიებების გატარების შედეგად, ახალი სასწავლო წლისათვის, რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა შემცირდა და შეადგინა 1700 ბავშვი(ბოლო ორი წლის განმავლობაში აღსაზრდელები 300 ბავშვით შემცირდა). აღსაზრდელების რაოდენობის შემცირება ,აგრეთვე დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებითაც არის გამოწვეული.

გაერთიანების ხელმძღვანელობის მიერ გააქტიურებულია ისეთ საკითხებზე მუშაობა,რომელიც უზრუნველყოფს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას,უკვე დამთავრდა 25 პედაგოგის ტრენინგ-მოდული,რომლის ჩატარებაც უზრუნველყო საქართველოს პორტიჯის ასოციაციამ.თვრამეტივე საბავშვო ბაღში „HASPIS"-ის პროგრამის მიხედვით თანამშრომელთა გადამზადებისათვის,აპრილის თვეში გამოცხადებული იქნა ტენდერი,გამარჯვებული გამოვლინდა ნათაძის სახელობის სანიტარიის,ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.აღნიშნულმა ინსტიტუტის კვალიფიციურმა კადრებმა დღემდე ყველა ბაღში განახორციელეს კადრების გადამზადება ,რაც ერთერთი წინაპირობაა საბავშვო ბაღების ახალ სტანდარტებზე გადასასვლელად.ამ პროგრამის განხორციელებაზე დაიხარჯა 16900 ლარი.აღნიშნული ღონისძიებების პარალელურად, მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში, უსაფრთხოების გაძლიერების თვალსაზრისით, უკვე დასრულდა საბავშვო ბაღების შენობებიდან ბუნებრივი აირის გათბობის ქვაბების გარეთ გამოტანის სამუშაოები,რისთვისაც 22400 ლარი იყო გამოყოფილი, 7 საბავშვო ბაღში, თებერვლის თვეში მთლიანად, ჩანაცვლდა ახლით გათბობის ძველი ქვაბები და მოწესრიგდა გათბობის მთლიანი სისტემა,რისთვისაც 32500 ლარი დაიხარჯა. შემოტანილი იქნა საბავშვო სათამაშოები 29531 ლარის,აგრეთვე 6211 ლარის ფარგლებში განახლებული იქნა ბაღებში სამზარეულოს ჭურჭელი,დეკემბრის თვეში, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან, უკვე გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, საბავშვო ბაღებში შემოტანილი იქნება "HASPIS" პროგრამის რეკომენდაციის ფარგლებში 49850 ლარის რბილი ავეჯი.

გაერთიანების ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აკლებს პატარებს თავიანთი აქტივობების გამოვლენისა და გასაჯაროებისათვის ,ამის ნათელი მაგალითია 1 ივნისს-ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,რომელიც მოიცავდა:თემატურ კომფერენციას,აღმზრდელებისა და ბავშვების ნამუშევრების გამოფენა-დათვალიერებას. კულტურისა და დასვენების პარკში.მოეწყო თოჯინების თეატრის სპექტაკლის ჩვენება და სახალხო-საბავშვო სეირნობა-გართობა,გაიხსნა „ადრეული განვითარების აბილიტაციის ცენტრი",რომლის მიზანიცაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია-განვითარება.გათვალისწინებულია საახალწლოდ გამართულ ზეიმებზე,აღსაზრდელებზე გაიცეს 21500 ლარის ღირებულების საჩუქრები.

ყველაფერი ,რაც ანგარიშშია მოცემული, მიღწეულია იმ დიდი ძალისხმევის შედეგად,რომელსაც ერთობლივად აწარმოებენ მუნიციპალიტეტის საკრებულო,მერია და საბავშვო გაერთიანების ხელმძღვანელობა და ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ლელა გელაშვილი,
ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" მმართველი

გენდერული თანასწორობის თექვსმეტდღიანი კამპანია დაიწყო

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი კამპანია ხაშურის მუნიციპალიტეტში გამოფენით - „ჩვენ ვხედავთ, ვგრძნობთ და ვრეაგირებთ" გაიხსნა, რომლის ორგანიზატორი გენდერული

თანასწორობის საბჭოს წევრი, ამერიკული სივრცის კოორდინატორი, ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების ინოვაციური განყოფილების ხელმძღვანელი ქეთი მეტრეველი გახლდათ.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ დარბაზში მოწვეულ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, რომელმაც გააჟღერა კამპანიის მთავარი გზავნილი, რომ ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ხაშურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა ისაუბრა ძალადობის გამომწვევ ძირეულ მიზეზებზე და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ძალადობის მსხვერპლ ქალებს.

პრეზენტაცია თემაზე - "25 ნოემბერი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე" -შსს ხაშურის რაიონული სამმართველოს ინსპექტორ - გამომძიებელმა, პოლიციის კაპიტანმა მაია წკრიალაშვილმა წარმოადგინა. მან აქცენტი გააკეთა ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის შესახებ ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრებაზე, სამართლებრივი ნორმებისა და მსხვერპლებისთვის არსებული სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ მერიის, საკრებულოს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, ააიპ საბავშვო ბაღების გაერთიანების და საბიბლიოთეკო გაერთიანების წარმომადგენლები, ახალგაზრდები.

აგრარული დარგის სამთავრობო პროგრამები

შეღავათიანი აგროკრედიტი

თუ გსურთ სოფლად საქმიანობის დაწყება/განვითარება და ამისთვის გესაჭიროებათ დამატებითი ფულადი სახსრები, სახელმწიფო ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სთავაზობს იაფ ფინანსურ რესურსებზე წვდომას სესხის პროცენტის თანადაფინანსების გზით.

შეღავათიან აგროკრედიტს გასცემენ პროექტში ჩართული ბანკები და საფინანსო ორგანიზაციები.

სოფლის განვითარების სააგენტო არ მონაწილეობს საკრედიტო განაცხადის დამუშავების და კრედიტის გაცემის პროცესში.

პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი, შენახვა-რეალიზაციის და სხვა მიზნობრიობის საწარმოები მიიღებენ აგროკრედიტ/აგროლიზინგს, როგორც ძირითადი ისე საბრუნავი საშუალებებისთვის.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის;
- შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის;
- შეღავათიანი აგროლიზინგი

პროექტი ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. მას, 2013 წლის 27 მარტიდან, სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს.

ერთწლოვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხები გაიცემა შემდეგი მიზნობრიობებით:

ა) ერთწლოვანი კულტურების სათესი და სარგავი მასალის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება;

ბ) ერთწლოვანი კულტურებისთვის პესტიციდების, ორგანული და მინერალური სასუქების,მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების მიმდინარე ხარჯების დაფინანსება;

გ) ერთწლოვანი კულტურებისთვის შრომითი რესურსების და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის;

დ) ერთწლოვანი კულტურებისთვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის გამოყენებული ტექნიკისა საწვავ-საცხები მასალების მიმდინარე ხარჯების დაფინანსება;

აღნიშნული ქვეკომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა).

ქვეკომპონენტის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხა განისაზღვრება 5,000 ლარიდან 100,000 ლარის ჩათვლით.

საფინანსო ინსტიტუტის მიერ ამ ქვეკომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარზე გაცემული სესხის სარგებლობისათვის განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 18%-ს.

სესხის ვადის და გადახდის გრაფიკის განსაზღვრა ხდება ბენეფიციარისა და კრედიტის გამცემი საფინანსო ინსტიტუტის შეთანხმების საფუძველზე.

სააგენტო მოახდენს ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხის არა უმეტეს 12 თვის პროცენტის თანადაფინანსებას წლიური 9%-ის ოდენობით, სესხის გაცემიდან არა უმეტეს 14 თვის განმავლობაში.

კონკრეტული ერთწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის მაქსიმალური ხარჯი 1 ჰა-ზე წინასწარ არის განსაზღვრული

ქვეკომპონენტის ფარგლებში კრედიტის გაცემა დაიშვება ყოველი წლის 1 თებერვლიდან ამავე წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით,საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კომპონენტი - შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის ითვალისწინებს საფინანსო ინსტიტუტების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი და გადამამუშავებელი/შემნახველი საწარმოებისთვის ძირითადი საშუალებებისთვის გამოყოფილ სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსებას და მეორად უზრუნველყოფას.

სააგენტო უზრუნველყოფს პროექტის მონაწილესთან თანადაფინანსების შეთანხმების საფუძველზე სესხის მომსახურებისთვის გადასახდელი საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას.

სააგენტო ახორციელებს სესხების მონიტორინგს და დარღვევებზე რეაგირებას პროექტის ნებისმიერ ეტაპზე.

ძირითადი საშულებების კომპონენტში შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი 20 000 ლარიდან 75 000 ლარამდე სესხების შემთხვევაში;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა).

ძირითადი საშუალებებისთვის სესხი გაიცემა ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების, მოდერნიზაციის ან/და სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად, შემდეგი მიზნობრიობ(ებ)ით:

გადამამუშავებელი, ინფრასტრუქტურული და პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, არსებული მრავალწლოვანი კულტურების ბაღების, პლანტაციების რემონტი და აღდგენა

ძირითადი საშუალებებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტით დაფინანსდებიან საწარმოები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებაზე და გამოიყენებენ ადგილობრივ შრომით რესურსებს.

დაუშვებელია იმ პროექტების დაფინანსება, რომლებიც გათვლილია მხოლოდ იმპორტირებული ნედლეულის გადამუშავებაზე და არაადგილობრივი შრომითი რესურსების გამოყენებაზე.

შეღავათიანი აგროკრედიტის თანხა ძირითადი საშუალებებისთვის განისაზღვრება 20,000 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით.

სესხის ვადის განსაზღვრა ხდება ბენეფიციარისა და კრედიტის გამცემი საფინანსო ინსტიტუტის შეთანხმების საფუძველზე.

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა იყოს ფიქსირებული ან მცურავი

სააგენტოს მიერ არა უმეტეს 48 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება მოხდება მსესხებლის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის ძირითადი თანხის წლიური 11%-ის ოდენობით, სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან არა უმეტეს 50 თვის განმავლობაში.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციის ქვეკომპონენტის ფარგლებში შეღავათიანი აგროკრედიტი გაიცემა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშულების ტექნიკის და იმპლემენტის ან/და ხე-ტყის დამამზადებელი ტექნიკის და იმპლემენტების (შემდგომში - ტექნიკა) შესასყიდად.

შესასყიდი ტექნიკა უნდა იყოს ახალი,გარდა შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან“ (ს/კ: 206348736) ან/და შპს „აგროსერვის ცენტრისგან“ (ს/კ 406321065) შესაძენი ტექნიკისა

ამ ქვეკომპონენტის ფარგლებში შეღავათიანი აგროკრ-ედიტით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:
ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს (7,000 ლარიდან 75,000 ლარამდე);
ბ) საქართველოში რეგისტრირებულ ინდ. მეწარმეებს ან იურიდიულ პირებს

ქვეკომპონენტის ფარგლებში შეღავათიანი აგროკრედიტი განისაზღვრ ება 7,000 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით.

ქვეკომპონენტის ფარგლებში სააგენტო უზრუნველყოფს სესხის არა უმეტეს 48 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას.

თანადაფინანსება მოხდება ბენეფიციარის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად, სესხის ძირითადი თანხის წლიური 8%-ის ოდენობით

შეღავათიანი აგროლიზინგის კომპონენტი ემსახურება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის განვითარებას. შეღავათიანი აგროლიზინგის დაფინანსებით ისარგებლებენ ის საწარმოები, რომლებიც ქმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას (თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები და სხვა), ან ეწევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნებისმიერი სახით გადამუშავებას (შენახვა, დაფასოება, გადამუშავება), ან აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთ მასალებს,ასევე ის საწარმოები, რომელთაც თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში დამტკიცებული აქვთ სახელმწიფო თანადაფინანსება.

შეღავათიანი აგროლიზინგით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოსი);

ერთ ბენეფიციარზე ლიზინგის გამცემის ინვესტიციის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 20,000 ლარით და არა უმეტეს 1,500,000 ლარით (მათ შორის თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაცემული ლიზინგი)

ლიზინგის გაცემის მაქსიმალური ვადა შეზღუდული არ არის.

სააგენტოს მიზნობრივი თანადაფინანსება განისაზღვრება ლიზინგის გამცემის ინვესტიციის წლიური 12%-ის ოდენობით 48 თვის განმავლობაში, რომელსაც სააგენტო გადაუხდის ლიზინგის მიმღებს მის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკის შესაბამისად, სალიზინგო საზღაურის გადახდის შემდეგ.

პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები უნდა წარმოადგინონ მხოლოდ ქართულ ენაზე

დამატებითი კონსულტაციისათვის მიმართეთ ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს

მასალა მომზადებულია ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლების მიერ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4, 5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28, 29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40,41,46)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

ხაშური ომის შემდეგომ წლებში (1945-1990)

ჯერ ფაშისტურ გერმანიასთან, ხოლო შემდეგ იაპონიასთან გამარჯვებამ დიდი სიხარულით აღავსო ხაშურელები. დამთავრდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი ომი. იაპონიის უსიტყვო კაპიტულაციის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა ხაშურში, წარმოება დაწესებულებებში იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები და შეკრებები, რომლის მონაწილეებიც იღებდნენ ახალ ვალდებულებებს საწარმოო დავალებათა წარმატებითა და გადაჭარბებით შესასრულებლად.

3 სექტემბერს ხალხმრავალი მიტინგი შედგა საორთქლმავლო დეპოში. დეპოს უფროსმა გ. თომაძემ მიტინგის მონაწილეებს გააცნო ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი. სიტყვით გამოვიდნენ დეპოს მოწინავე თანამშრომლები – საიარაღოს გამგე ი. ოშხნელი, ოსტატი გ. ლომიძე, ბრიგადირი ი. ციყელაშვილი და სხვები. ორთქლმავლის მემანქანემ არ. მამიაშვილმა იკისრა, სანიმუშო მდგომარეობაში მოეყვანა ორთქლმავალი, 12 პროცენტით გაედიდებინა მისი სადღეღამისო გარბენა და 10 პროცენტით შეემცირებინა საწვავის ხარჯვა.

დიდმა სტალინმა, – განაცხადეს მიტინგის მონაწილეებმა – მოგვილოცა მსოფლიო ომის დამთავრება. იაპონელი აგრესორი განადგურებულია. ამ ისტორიული გამარჯვების პასუხად ჩვენ პირობას ვდებთ, რომ არსებითად გავაუმჯობესოთ მუშაობა და ჩავდგეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა რიგებში.

იმავე დღეს, დილით მიტინგი გაიმართა სავაგონო დეპოშიც, პარტბიუროს მდივანმა ალექსი მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ აგრესიის კერა აღმოსავლეთში, გერმანიის მოკავშირე იაპონია, იძულებული აღმოჩნდა, რომ უსიტყვო კაპიტულაცია მოეხდინა. მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა და მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობისთვის შექმნილია ყველა საჭირო პირობა. საჭიროა ვიმუშაოთ სამშობლოს წინაშე მოვალეობის მაღალი შეგნებით, რომ ჩვენს ქვეყანას დაჩქარებით მოვუშუშოთ ომით მიყენებული ჭრილობები.

დეპოს ახსნითი საამქროს ოსტატმა ვ. ქიტიაშვილმა ვალდებულება აიღო, სექტემბრის საწარმოო დავალება 5 დღით ადრე და გადაჭარბებით შეესრულებინა. დამხმარე საამქროს ოსტატმა ა. ზაზიკაშვილმა იკისრა უზრუნველყო საჭირო მასალების დამზადება და ფრიქციული აპარატების შეცვლა და შეკეთება სექტემბრის გეგმა შეესრულებინა ვადაზე 5 დღით ადრე. ცვლის უფროსმა დ. ჩადუნელმა ივალდებულა, გეგმის გარეშე შეკეთებიდან 12 სექტემბრამდე გამოეშვა ერთი ვაგონი. ავტოსაკონტროლო პუნქტის უფროსმა გ. თუთისანმა პუნქტის კოლექტივის სახელით პირობა დადო, შეენარჩუნებინა გზის გარდამავალი წითელი დროშა და 15 პროცენტი გადაემეტებინა გაენაღდებინა სექტემბრის დავალება.

ქალაქი თანდათან უბრუნდებოდა მშვიდობიან ცხოვრებას.
ამ პერიოდში ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი დემობილიზირებულ მეომრებზე ზრუნვა იყო. რაიონიდან ფრონტზე გაიგზავნა 8125 კაცი, რომელთაგანაც 5132 ბრძოლის ველზე დაეცა. სამშობლოში მხოლოდ 2993 კაცი დაბრუნდა. ბრძოლის ველზე დაღუპულთა და დაბრუნებულთა შორის უმრავლესობა ქალაქიდან იყო.

პირველსავე დღეებში, როდესაც დაიწყეს ქალაქში დემობილიზებულებებმა ჩამოსვლა, ხელმძღვანელობამ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ერთად გადამჭრელი ზომები მიიღო სამუშაოზე მოწყობისა და მათთვის დახმარების გაწევის საქმეში. შემოწმდა ყველა წარმოება-დაწესებულება, რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოები და მიღებულ იქნა ზუსტი მონაცემები მუშა–ხელზე. მათი საჭიროების შესახებ და მოხდა დემობილიზებულთა მოწყობა სამუშაოზე. სექტემბრისათვის დემობილიზებულთა 80 პროცენტი უკვე მოწყობილი იყო სამუშაოზე. სათანადო ყურადღება ექცეოდა დემობილიზებულების იმ სამუშაოზე მოწყობას, საიდანაც იყვნენ გაწვეულნი ფრონტზე, ან სთავაზობდნენ სხვა, უფრო უკეთეს თანამდებობას. შალვა გოგიჩაიშვილი ომამდე, რაიკომის ინსპექტორად მუშაობდა, ომის შემდეგ კი გომის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. რიგითი მუშა მიხეილ მაქსიმოვი კავშირგაბმულობის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილედ დააწინაურეს. დემობილიზირებული ვასილ სმირნიცკი, რომელიც ომამდე ორთქლმავლის მემანქანის თანაშემწედ მუშაობდა, დაინიშნა სავაგონო დეპოს კადრების განყოფილების უფროსად. მედდამ – თამარ ბლუაშვილმა, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე წავიდა ფრონტზე, კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად, ხოლო მარო კამლაძემ თავდაცვა-ავიაქიმიის რაისაბჭოში ასევე ინსტრუქტორად დაიწყო მუშაობა.

ომის დამთავრებიდან პირველსავე დღეებში სათანადო ყურადღება მიექცა ხაშურის კეთილმოწყობის სამუშაოებს. დაიწყო ქალაქის შემოგარენის გამწვანების სამუშაოები. ამ მხრივ დიდი სამუშაოები ჩატარდა ქალაქის ჩრდილოეთით საქოლავის სერზე.

40-50 წლებში, ისევე, როგორც 20-30-იან წლებში, ქალაქ ხაშურის მრეწველობა, ძირითადად, კვლავ სარკინიგზო ტრანსპორტით იყო წარმოდგენილი. მხოლოდ 50-იანი წლების ბოლოდან და განსაკუთრებით 60-70-იანი წლებიდან დაიწყო ხაშურის სამრეწველო ქალაქად ჩამოყალიბება, როცა აქ შეიქმნა სამი მნიშვნელოვანი საწარმო: საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა, მინისტარის და მექანიკური ქარხნები. 80-იან წლებში მათ დაემატა ბურთულა-საკისრების ქარხანაც, რკინიგზის კვანძი, რომელიც რამდენიმე სარკინიგზო სამსახურს აერთიანებდა, კიდევ რჩებოდა ქალაქის ერთ-ერთ ძირითად სამეურნეო რგოლად.

უკვე 80-იანი წლებისათვის ხაშური მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი იყო. იგი კვლავ გამოირჩეოდა მოხერხებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობითა და შრომითი რესურსების კონცენტრაციით. ქალაქის სამრეწველო საწარმოებში მომუშავეთა რიცხი გაიზარდა 0,3 ათასი კაციდან 1960 წელს 3,5 ათასამდე 1976 წელს.

მომდევნო ხუთი წლის შემდეგ, 1980 წელს მრეწველობაში დასაქმებული იყო 4713, ხოლო 1985 წელს – 4900 კაცი.

ხაშურის მრეწველობის ფლაგმანი მინის ტარის ქარხანა იყო. მისი მშენებლობა 1962 წელს დაიწყეს და 1966 წელს დაამთავრეს. 1967 წლის 1 აპრილს ქარხანამ უკვე პირველი პროდუქცია გამოუშვა ქარხნის ძირითადი ამოცანა იყო, მომსახურებოდა ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანას.

1976 წელს ქარხანამ გამოუშვა 154 მილიონი ცალი ბოთლი, ამავე წელს ამოქმედდა მისი მეორე რიგი და ქარხნის საპროექტო სიმძლავრე 300 მლნ. ბოთლამდე გაიზარდა. პროდუქციის 98% ეგზავნებოდა გაერთიანება „ბორჯომის“ ჩამომსხმელ ქარხნებს, 2%-მდე კი „საირმის“ ქარხანას.

თავდაპირველად, ქარხანა დღე-ღამეში უშვებდა 150-200 ათას ცალ ნახევარლიტრიან ბოთლს. მისი ექსპლუატაციაში მთლიანად შესვლის შემდეგ გათვალისწინებული იყო 400 ათასი ნახევარლიტრიანი ბოთლის გამოშვება დღე-ღამეში.

ქარხანა საჭირო ნედლეულს სხვადასხვა ადგილიდან ღებულობდა. კვარცს, სილას – ტამანის ნახევარკუნძულიდან, სულფატს – ყარა ბოგასგოლიდან, ნეფელინის – კიროვოკიდან, მარმარილოს – ეკლარიდან, პირიტის ნამწვს – ენგურის ქაღალდის კომბინატიდან და სხვა. ამ ფაქტმა, რომ ქარხანა ადგილობრივ ნედლეულზე არ მუშაობდა, უარყოფითად იმოქმედა მის მომავალზე. 90-იან წლებში, საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დაირღვა თუ არა ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობები, მინისტარის ქარხანამ არსებობა შეწყვიტა.

საქართველოში მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმო იყო ხაშურის მექანიკური ქარხანა, რომელიც 1970 წელს დაარსდა და უკვე 1971 წელს პროდუქციის გამოშვებაც დაიწყო. თავდაპირველად ქარხანა მოთავსებული იყო ძველი, მცირე სიდიდის კორპუსში. 1973 წელს დაიწყეს და 1976 წელს დამთავრდა ახალი კორპუსის მშენებლობა და ქარხანაც მთლიანი სიმძლავრით ამუშავდა.

ქარხანა უშვებდა 800 დასახელების სხვადასხვა სათადარიგო ნაწილებს თევზსაჭერი გემების ტექნოლოგიური დანადგარებისათვის. სათადარიგო ნაწილები ეგზავნებოდა კავშირის მასშტაბით 20-ზე მეტ თევზსარეწ ბაზას: სევასტოპოლში, კლაიპედაში, ვლადივოსტოკში და სხვაგან. ქარხნის გამოშვებული პროდუქციის მხოლოდ 2-3% რჩებოდა საქართველოში.

1975 წლისათვის ქარხანაში დასაქმებული იყო 500-მდე მუშა. ამავე წელს გამოშვებული იქნა 1 მილ მანეთის მთლიანი პროდუქცია.

მომდევნო წლებში საგრძნობლად გაიზარდა ქარხნის გამოშვებული პროდუქციის ღირებულება. 1976 წელს გამოშვებული იქნა 1 660 000 მანეთის, 1977 წელს – 2.643.000; 1978 წელს – 3.190000 მან; 1979 წელს – 3.421.000; 1980 წელს – 3.750.000 მანეთის პროდუქცია.

მიუხედავად იმისა, რომ ქარხანა ძირითადად საკავშირო დაკვეთებს ასრულებდა, თანდათან ზრდიდა შიდარესპუბლიკურ საწარმოო კავშირებსაც. ქარხანა ატარებდა სარემონტო სამუშაოებს და ასრულებდა ცალკეულ დაკვეთებს ხაშურის რიგ საწარმოებში, ბორჯომის, ბაკურიანის და გორის რძის ქარხნებში. ურთიერთობები ჰქონდა საქართველოს ზღვისპირა ქალაქებთან: ფოთში აგზავნიდა სათადარიგო ნაწილებს ოკეანური თევზჭერის სამმართველოს გემებისათვის; ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნიდან კი პირიქით, იღებდა თუჯის სხეულებს და სხვა.

მექანიკური ქარხნის მშენებლობამ ხაშურში, მის მეზობელ სოფლებში წარმატებით გადაწყვიტა მამაკაცთა შრომითი რესურსების გამოყენების საკითხი. საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 90% მამაკაცი იყო. მექანიკურმა ქარხანამ ხაშურში ისეთივე როლი შეასრულა მამაკაცთა შრომითი რესურსების გამოყენების საქმეში, რაც საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკამ ქალთა დასაქმებაში.

მექანიკურმა ქარხანამ სრული დატვირთვით 90-იანი წლების დასაწყისამდე იმუშავა, შემდეგ, როცა მოიშალა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობები, მისი საწარმოო სიმძლავრე საგრძნობლად შემცირდა და 90-იანი წლებიდან მხოლოდ შიდარესპუბლიკურ დაკვეთებს ასრულებს.

საქართველოში მსუბუქი მრეწველობის მნიშვნელოვანი, მსხვილი საწარმო იყო ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა, იგი თავისი ტექნიკური აღჭურვილობით რესპუბლიკაში საუკეთესო საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. აქ დამონტაჟებული იყო როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთული დაზგა-დანადგარები, რაც მაღალ ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების საშუალებას იძლეოდა.

ფაბრიკის მშენებლობა დაიწყო 1970 წლიდან და დასრულდა 1974 წელს. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 1970 წლის 2 მარტის ბრძანებულებით ექსპლუატაციაში გაშვებული იქნა ფაბრიკის სამოსწავლო უბანი და მიღებული იქნა პირველი პროდუქცია. 1971 წლის იანვარში ექსპლუატაციაში გაუშვეს მშენებლობის I რიგი, ხოლო შემდეგ წლებში (1971-1975) – ექსლუატაციაში შევიდა ოთხი რიგის გასაშვები კომპლექსები საერთო სიმძლავრით 28,4 მლნ მანეთის ნაწარმი წელიწადში და ფაბრიკა სრული სიმძლავრით ამოქმედდა.

ფაბრიკა უშვებდა 36 დასახელების საქონელს – საფარდე ქსოვილს, მაქმანს და სამაქმანე ქსოვილს, საწნავს და ლენტნაწარმს. 1976 წლის 19 იანვარს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა საფარდე ქსოვილის 6 სურათს, 1979 წლისათვის კი ხარისხის ნიშანი ჰქონდა საფარდე ქსოვილის 40 სურათს, სამაქმანე ტილოს 2 სურათს და მაქმანის 12 სურათს.

1976 წელს ფაბრიკამ გამოუშვა 7641 მ² საფარდე ქსოვილი, 528 ათასი მ² სამაქმანე ქსოვილი და 22 164 გრძივი მეტრი მაქმანი. 1980 წელს 11 200 მ² საფარდე ქსოვილი, 580 ათასი მ² სამაქმანე ქსოვილი და 29 000 გრძივი მეტრი მაქმანი.

ფაბრიკის პროდუქცია ძირითადად სამკერვალო ფაბრიკებში იგზავნებოდა, საფარდე ქსოვილი – სავაჭრო ქსელში.

საწარმოო ნედლეულს თითქმის მთლიანად რესპუბლიკის გარედან იღებდა. ხელოვნური და ნატურალური ბოჭკო შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან და სსრკ ზოგიერთი ქალაქიდან – მოგილევიდან და ფურმანოვიდან.
ფაბრიკას მჭიდრო ეკონომიკური და ტექნოლოგიური კავშირები ჰქონდა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატთან, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანასთან, სამტრედიის ბამბის საქსოვ ფაბრიკასთან, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟთან“, თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვართან“, კიროვაკანის (სომხეთის სსრ) სატრიკოტაჟო ფაბრიკასთან და ა. შ. საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა ხაშურში ერთ-ერთი დიდი სამრეწველო საწარმო იყო, რომელშიც დასაქმებული იყო 2,2 ათასი ადამიანი (1976წ). მუშა-მოსამსახურეთა შორის უმეტესობა ქალი იყო (85%). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აქ უმთავრესად ახალგაზრდები იყვნენ დასაქმებულნი. მუშა-მოსამსახურეთა 2/3 16-30 წლის ასაკისა იყო.

დასაქმებულთა უმრავლესობა ქ. ხაშურის მკვიდრი იყო, ხოლო 15% მეზობელი სოფლების (ქვიშხეთის, ცხრამუხის, ოსიაურის, ტეზრის) და დაბა სურამის მცხოვრებლები იყვნენ.

საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ფაბრიკამ მცირე ხნით კიდევ იმუშავა, ხოლო შემდეგ მუშაობა შეწყვიტა.
ხაშურში მოქმედებდნენ ადგოლობრივი მრეწველობის მცირე საწარმოები. ეს საწარმოები ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში იყვნენ გაერთიანებულები და მრავალფეროვან პროდუქციას უშვებდნენ. აქ დასაქმებული იყო ასობით მაღალკვალიფიციური მუშა და ხელოსანი.

50-60-იან წლებში წარმატებით მუშაობდა ხაშურის აგურის ქარხანა, რომელმაც 70-იანი წლებიდან შეწყვიტა არსებობა. იგი წელიწადში 7 მილიონ ცალ აგურს უშვებდა.
1952 წელს კომბინატმა საწარმოო-საფინანსო გეგმა 133,6%-ით შეასრულა, შრომის ნაყოფიერება 18%-ით გაიზარდა და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 7,8%-ით შეამცირა. სამეურნეო წელი შრომის, მაღალი ნაყოფიერებით დაამთავრეს კომბინატის ცალკეულმა საწარმოებმა. ხაშურის სამჭედლო წარმოებამ გეგმა 191%-ით შეასრულა, სახერხმა წარმოებამ – 188,7%-ით და ა.შ . კომბინატს ჰქონდა ლიმონათის ქარხანა, რომელიც წელიწადში 60 ათას დეკალიტრ ლიმონათს ამზადებდა.

სამკერვალო საწარმო სპეცტანსაცმელს ამზადებდა: კომბინიზონებს, სამუშაო კოსტუმებს, ხელთათმანებს და სხვა. კომბინატი ამზადებდა სხვადასხვა საოჯახო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებს, რასაც დიდი მოთხოვნილება ჰქონდა მოსახლეობაში. ომის შემდგომ წლებში ქალაქ ხაშურის ეკონომიკურ ცხოვრებაში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რკინიგზის ტრანსპორტს, რომელიც აერთიანებდა საორთქლმავლო, სალოკომოტივო, სავაგონო დეპოებს, ენერგომომარაგების უბანს, სალიანდაგო, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის, შენობა-ნაგებობათა დისტანციებს, ხაშურის სადგურს.

საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა 1947 წლის საწარმოო გეგმები ყველა სახეობაში 156%-ით შეასრულა. მეორთქლმავლეებმა ორთქლმავალთა გარბენის გეგმის 168%-მდე შესრულებით მიაღწიეს 700 000 მანეთის ეკონომიას. მათ 400 ტონა მაზუთი დაზოგეს.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

სენსაციური აღმოჩენა ექსპერტების დასკვნას ელოდება

ჩვენი ქალაქი, კიდევ ერთხელ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა, ერთ-ერთ ოჯახში, იპოვეს ფოტო, სადაც მათი აზრით, ფიროსმანია აღბეჭდილი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ფიროსმანი გარკვეული პერიოდი, ხაშურში ცხოვრობდა და მუშაობდა, ეს ფაქტი, არაა ლოგიკას მოკლებული. ფოტოს ავთენტურობისთვის, მთელი რიგი პროცესებია საჭირო. ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მცველი, მზია ლობჟანიძე, ასე იხსენებს პროცესებს ფოტოს აღმოჩენიდან დღემდე.

მზია ლობჟანიძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველი:

—ზაფხულში, მუზეუმიდან გავიდა მინიექსპედიცია ხაშურში, კოშკის უბანში, სამი ადამიანის შემადგენლობით. ხიდირბეგიშვილების გვიანფეოდალურ კოშკზეა საუბარი. ეს უბანი საინტერესოა იმითაც, რომ როცა ხაშური პატარა დაბა იყო და მიხაილოვო ერქვა, მაშინ მთელი მოსახლეობა თავმოყრილი იყო აქ. ამიტომ, ვეძებდით ძველ შენობებს, ოჯახებში შევდიოდით, ვეცნობოდით არქივებს, ძველ ფოტოებს. სოსო ლომსაძის ძველი სახლი

დავათვალიერეთ, რომელიც მე-20 საუკუნისაა, დავათვალიერეთ სახლი, ბატონმა სოსომ გზაში წამოსულებს ძველი ფოტოები დაგვადევნა, რამდენიმე ფოტო გვაჩვენა. ჯგუფურ ფოტოს მოვკიდე ხელი, სადაც ამქრის წევრები იყვნენ, დავიწყე იოსებ ძნელაძის ძებნა-რომელიც იყო მეორე გილდიის ვაჭარი. ამ ძებნაში, ჩემთვის გასაოცრად, ძალიან ნაცნობი სახე შევნიშნე, ფოტო გავუწოდე ბატონ მურად მთვარელიძეს, რომელმაც გაოცება ვერ დამალა, ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანის ფიროსმანთან მსგავსებით. ეს იყო ერთგვარი შოკი. მიუხედავად იმის, რომ დასაბუთებით არაფერს ვამტკიცებთ, რადგან ამას გარკვეული კვლევები ჭირდება, მაგრამ ეს ვარაუდი არაა არგუმენტებს მოკლებული.

- რა ფორმით დაიწყეთ ამ ფაქტის დადასტურება, რა გაძლევთ მის საფუძველს, იფიქროთ, რომ ეს ნამდვილად ფიროსმანია?

—ემოცია მართლაც ძალიან დიდი იყო. მუზეუმში მოსულებმა, დავიწყეთ ფიქრი, დაგვეწყო ფოტოს საფუძვლიანი შესწავლა. დანარჩენი ადამიანების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა, თუმცა გავარკვიეთ მათი სოციალური წრის წარმოშობა. გამოსახულნი არიან ამქრის წევრები, ოსტატები და შეგირდები.სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყვნენ რკინიგზელები. ქართული პერიოდული პრესა ადასტურებს, რომ ბევრი დუქანი და სამიკიტნო იყო გახსნილი კოშკის მიდამოებში. მთელი ეს ცენტრი იყო ამ დაწესებულებებით დატვირთული. დავაკვირდით მათ ჩაცმულობას და აქ იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი: რომლებიც ოსტატები იყვნენ, აცვიათ ჩოხა-ახალუხი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, რომელიც ამქრის წევრებისთვის დამახასიათებელია და ეხურათ შესაბამისი ქუდები, რომელიც ფოტოში ან ახურავთ, ან წინ უდევთ. ერთადერთია ფიროსმანი, ამ ფოტოზე, რომელსაც არ ახურავს ქუდი, არის სამოქალაქო ტანსაცმელში. ცნობილია, რომ ფიროსმანს ძალიან უყვარდა ევროპული ტანსაცმელი და ფაქტობრივად, ასე დადიოდა. არც "აზიაცკები" აცვია. ანუ. ლოგიკურად, ფოტოზე არსებული ადამიანები, ერთი სოციუმია და აქ ფიროსმანი, შემთხვევითაა მოხვედრილი.

- ფიროსმანის სულ რამდენე ფოტოა, აქედან. რომელ ფოტოსთან მოხდა მისი შედარება?

- ფიროსმანის ერთი ფოტო, დადასტურებულია, რომ ნამდვილად ისაა, ესაა ასაკიანი ფიროსმანი და არის კლარის ფოტო, დანარჩენი ფოტოები, მეცნიერული შესწავლით, მიუხედავად იმის, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიურო იძლევა დასკვნას, რომ ესაა ნამდვილად ფიროსმანის ფოტო, ხელოვნებათმცოდნეები არ ეთანხმებიან. კლარის ფოტოს კი, აწერია, რომ ნამდვილად ფიროსმანია და ამაზე აღარ დავობენ. ამ ფოტოსთან შედარებით და დიდი მსგავსებით, ჩვენ გვგონია, რომ ეს ფოტო, ნამდვილად ფიროსმანს ეკუთვნის. მაგრამ მიუხედავად ამ საფუძვლიანი არგუმენტებისა, ამის დასადასტურებლად, ბევრი კვლევაა ჩასატარებელი.

-= კიდევ რომელი ფაქტებით შეიძლება ვირწმუნოთ, ფიროსმანის ნამდვილობა?

—1886 წელს, რუსეთის იმპერიის სამოქალაქო აღწერის დროს, საქართველოში, საოჯახო სიების მიხედვით, როცა ფიროსმანი ხაშურში მუშაობდა, რამდენიმე თვის განმავლობაში, დასტურდება, რომ ფიროსმანი ცხოვრობდა კერძო სახლში და იყო უცოლო. ზუსტად ამ წელს, ამ ოჯახის, თევდორაძეების წევრი მამაკაცები, ასაკით ახლოს დგანან და არაა გამორიცხული, რომ მეგობრობდნენ და ფოტოც ერთად გადაეღოთ, ვაპირებთ, კიდევ ვიაროთ ამ უბანში, სხვა ფოტოების მოსაპოვებლად.

- გასაგებია და ნამდვილად ლოგიკური, ყველა ის ვარაუდი, რომელიც გაქვთ. გარდა ამის, რა ტექნიკური საშუალებებია, ამ ფოტოს ავთენტურობის დასადასტურებლად?

—სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში მიდის ფოტოს ორიგინალი. გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს შეიძლება ხაშურში გადაღებული ფოტო არ ყოფილა. თუმცა, ამ დროს ხაშურში და მოგვიანებით სურამში, უკვე არსებობდა ფოტოსტუდია. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არის ის ინტელექტი, რომელიც ამბობს, რომ ეს არის სავარაუდოდ ფიროსმანის ფოტო და უნდა დავადგინოთ. ეექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ, რომ დავეკონტაქტეთ, გვითხრა, რომ უნდა წარმოვადგინოთ ფოტო, რომლის იდენტიფიცირებაც გვსურს და შედარებისთვის სხვა ფოტოებიც დავურთოთ, რომელიც, ლოგიკურად, ჩვენ ვერ გვექნება. მაგრამ ჩვენ ამოვწიეთ რამდენიმე ფერწერული ტილო, რომელიც ლადო გუდიაშვილს ეკუთვნის და მსგავსება, მართლაც ძალიან დიდია. როცა წარვადგენთ ამ ფოტოს, მოვითხოვთ. რომ კლარის ფოტოს შეადარონ, რომელიც დადასტურებულად ფიროსმანია და რომელთანაც მსგავსება ძალიან დიდია. სახის ნაკვთები ძალიან ემთხვევა, ასაკობრივი სხვაობის გათვალისწინებითაც, იდენტური ვერ იქნება, ბიოლოგიური პროცესების მიმდინარეობის გამო. მიუხედავად ექსპერტიზის დასკვნისა, ბოლომდე ვერ ვიტყვით, რომ ნამდვილად ფიროსმანია, მაგრამ იმ ვარაუდის დაშვების უფლება, რომ შეიძლება იყოს, ხომ ნამდვილად გვაქვს?

- ამ ინფორმაციის გაჟღერებას, ძალიან დიდი რეზონანსი მოჰყვა...

როდესაც გაჟღერდა ეს ინფორმაცია, უდიდესი ინტერესი წამოვიდა, საზოგადოების, მკვლევარების, ჟურნალისტების მხრიდან.. რუსთავი ორის ჟურნალისტმა მკითხა, რატომ მაინცდა მაინც ფიროსმანის მიმართ იყო ასეთი ინტერესი ქართული საზოგადოების მხრიდან. პასუხი მარტივია, ფიროსმანთან ვალში ვართ მთელი საქართველო, საფლავიც არ ვიცით მისი და დამსახურებული პატივი ვერ მივაგეთ, ეს შინაგანად აწუხებს ყველა ქართველს.

თ. ჯავახიშვილი

1 დეკემბერს, შიდსით გარდაცვლილთა საერთაშორისო ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოც შეუერთდა

პრეზენტაცია აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, წარმოადგინეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა დავით ჩიქოვანმა და მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა ნინო სუხიაშვილმა.

გამომსვლელებმა ისაუბრეს არსებულ სტატისტიკაზე, გადაცემის გზებზე, პრევენციაზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ უფროსკლასელები, რომლებაც დასვეს კითხვები, მოიყვანეს მაგალითები. დამსწრეებს გადაეცათ სპეციალურად ამ დღისათვის დამზადებული ბუკლეტები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული ღირსშესანიშნაობები. კოდისწყაროს ტბა.

გამოფენა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

24 ნოემბერს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში, გაიხსნა დროებითი გამოფენა: „რკინიგზა ხაშურში-150“

ღონისძიების ფარგლებში, წარმოდგენილი იყო, რკინიგზასთან დაკავშირებული ფოტო-მასალა, დოკუმენტები.

აღსანიშნავია, რომ გამოფენილ ფოტო-მასალას შორის, არის ხაშურში გადაღებული ფოტო სურათი, სადაც სავარაუდოდ, ნიკო ფიროსმანია აღბეჭდილი.

გამოფენის ორგანიზატორების თქმით, „რკინიგზა ხაშურში-150“, ხაშურის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში, დიდხანს დარჩება და გარკვეულ საგანმანათლებლო პროგრამებსაც მოიცავს.

ვაყაში მინისტადიონის მოწყობა მიმდინარეობს

„სოფელ ვაყაში მინი სტადიონს ვაშენებთ. პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და პოპულარიზაციას. მუნიციპალიტეტის მასშტაბით მინისტადიონების მშენებლობას ინტენსიურად გავაგრძელებთ და ვეცდებით, ყველა ლოკაცია მოიცვას.“ -აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა,თენგიზ ჩიტიაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, სამუშაოები მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და 104 241 ლარს შეადგენს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.